ოქმი #13

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 02 აგვისტო, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ ყურაშვილი, ე. საღინაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. ბურჯალიანი, თ. ნემსწვერიძე, გ. გურგუჩიანი, ნ. ტვილდიანი, ბ. ახვლედიანი, რ. ყურაშვილი, მ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ა. მახარობლიძე, ა. თვარაძე.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: მ. ქომეთიანი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: შ. დვალი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან შექმნილი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

2. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/ლ. ზალკალიანი, მ. ქომეთიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი/

დადგენილებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან შექმნილი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა შორენა დვალმა განმარტა, რომ დადგენილების მიღების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონების ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა“ და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნები. ამასთანავე უკვე კანონშეუსაბამოა ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 აპრილის №13 დადგენილება, რადგან იგი მიღებულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველო კანონის ბაზაზე, აღნიშნული კანონი ძალადაკარგულადაა გამოცხადებული.
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით მკაფიოდაა განსაზღვრული სარეზერვო ფონდის განკარგვის მიზნით მერთან შექმნილი სათათბირო ორგანოს-საბჭოს მუშაობის პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, განსაზღვრულია კონკრეტულად თუ რა შემთხვევაში ხდება სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვა და აღნიშნული დადგენილების მიღებით ფაქტობრივად კანონშესაბამის რეგულაციას დაექვემდებარება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვა.

აღნიშნული დადგენილების პროექტი სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0

2. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ‘‘ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ქომეთიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მირზა ქომეთიანმა განმარტა, რომ „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში 2023 წლის 7 ივნისის №14 დადგენილების შესაბამისად შევიდა ცვლილება, კერძოდ, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურს დაემატა I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. აღნიშნულ თანამდებობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა შიდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამავე სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტმა. საკონკურსო კომისიის მიერ მოხდა აღნიშნული კანდიდატის დაწინაურებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება, რის შემდეგადაც გამოიცა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამჟამად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი თანამდებობა არის ვაკანტური და სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, სამსახურის გამართულად ფუნქციონირებისათვის საკმარისია იმ თანამშრომლების რაოდენობა რომლებიც დასაქმებული არიან დასახელებულ სამსახურში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში შემცირებულია II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

დადგენილების პროექტი წარმოდგენილი ცვლილებით სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი